

# მესამე სერიის ზმნათა ფორმოზრივი მოდელირება ქართულში

სალომე ფოფხაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი ენათმეცნიერება

კურსის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი რუსუდან გერსამია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე ფოფხაძე

10.07.2020

## აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი წარაადგენს სისტემური ხასიათის კვლევას დრო-კილოთა მესამე სერიის ფორმალური სტრუქტურების შესახებ, რაც ხორციელდება ფორმალური მოდელების შეპირისპირების ორი გზით - სინტაგმატური და პარადიგმატული ანალიზის გზით; პირველის საშუალებით დგინდება მოდელებში ცალკეული მორფემის ადგილი და ფუნქცია, მათი ურთიერთთავსებადობა და ფუნქციონირება მოდელში, რაც არ სცდება მწკრივის ფარგლებს, ხოლო მეორე პრინციპი გულისხმობს დადგენილი მორფომოდელების ერთმანეთთან დადარებას მესამე სერიაში შემავალი სამივე მწკრივისათვის და პარადიგმატული პრინციპების ანალიზს, სერიისათვის საყრდენი მორფომოდელების განსაზღვრას. მაშასადამე, ნაშრომის მთავარი მიზანია არა სეგმენტური მოფროლოგიით შემოფარგვლა, არამედ ფორმის, როგორც მთლიანის, დადგენა და მის ფუნქციონირებაზე დაკვირვება.

ნაშრომი წარმოდგენილია ორ ნაწილად; საკითხის შესახებ არსებული ლიტარატურის მიმოხილვისა და მკვლევართა თვალსაზრისების შეჯამების შემდგომ, რასაც ეძღვნება პირველი ნაწილი, გადავდივართ კვლევით ნაწილზე, რომელიც მოიცავს სამ თავს; თავები ეყრდნობაგვარის გრამატიკული კატეგორიის მიხედვით ზმნათა კლასიფიკაციას, რაც ასევე არის საფუძველი ქართულში ზმნების უღლების ტიპებად დაყოფისათვის;

აღნიშნული კვლევის შედეგად ნათელი გახდა, რომ მესამე სერიის ფორმები სპეციფიკურია როგორც ფორმოზრივი, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. სერიისათვის დამახასიათებელი სემნატიკური ნიშნები - თურმეობითობა, პირობითობა, შედეგობითობა, პერფექტულობა - არ არის მორფოლოგიურად მარკირებული კატეგორიები, თუმცა ფორმოზრივი მოდელები სწორედ ამ სემანტიკის გამოვლენას ემსახურება; ეს არის მოდელები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც შიდა სერიული კლასიფიკაციისას, ასევე I-II სერიების მწკრივებთან შეპირისპირებისას.

კვლევას წინ უძღოდა პრაქტიკული სამუშაო, რომელიც მოიცავდა მესამე სერიის ზმნურ ფორმათა სეგმენტირებას ინტერლინეალური გლოსირების წესებზე დაყრდნობით და პარადიგმატული ცხრილების აგებას ფორმოზრივი მოდელების შემდგომი კლასიფიცირების მიზნით.

თითოეულ თავს აჯამებს კვლევით დადგენილი წესების სისტემა, რომლებიც არსობრივად წარმოადგენს ალგორითმებს გვარის გრამატიკული კატეგორიის მიხედვით მესამე სერიაში ზმნურ ფორმათა მოდელირებისათვის.

მოცემული ნაშრომი და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები მნიშვნელოვანი იქნება იმ მკვლევრებისათვის, რომლებიც მომავალში დაინტერესდებიან მესამე სერიის ფორმებით და გადაწყვიტენ ამ აქტუალური საკითხის შესასწავლად სიღრმისეული სამუშაოების ჩატარებას.

## Abstract

The presented work represents a systemic pattern of the study about the time-mood the third series' formal structure, which is implemented with the models comparison in two ways - analyse in stigmatic and paradigmatic way

With the help of the first is defined the location of certain morphemes and functions in models Their mutual compatibility and functioning.

Which is not happen outside the series, But the second principle means the comparison of the certain morphomodels with each other for all series, which are in the third series and the analyse of the paradigmatic principles (principles) Also determination of the basis morphomodels for series

So, the work's main goal is not only the stigmatic morphology, but also form 's definition such as the whole one and observes on its function.

The work is represented in two parts, to review the appropriate literature about this issue and the first part is about the summarize of researcher's view, so we are moving to the next part, which includes three chapters. The chapters are based to classify verbs according to the voice grammar categories, which is also the basis of verbs' conjugate to divide into types in Georgian language.

According to this study it is clear that the third series' forms are specific as well as in forms also in the points of contents. These are not models, which are different from each other as well as inner serial classification. Also in I-II series and lines comparison, before the study, the practical work was done, which included the third series verbal forms segmentation.

And creating the table with the aim to classify the formed models Each of these chapters is summarized with the established system of rules and the research, which represents algorithms according to the voice grammar category in the third series.

After the presented work and the study, the received conclusion will be essential for those researchers, who will be interested in the third series and decide to do some deep work and study this actual issue better.